პროლეტარეთო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

20 ნოემბერი შაბათი 1971 წელი — ოქტ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 269 (15179)

ხუთწლედი — ვადამდე!

მეცხრე ხუთწლედის პირველი წელი ფლიუერებმა — ... ასრულებთ თუ არა გეგმას, ნაკისრი ვალდებულებას?

● გაბედულად დავნერგოთ ახალი ტექნიკა და ტექნოლოგია, განვამტკიცოთ წარმოების რენტაბელობა.

● ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება, გავადიდოთ პროდუქციის გამოშვება, გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი.

● შევამციროთ დანახარჯები, დავზოგოთ ნედლეული და მასალები.

ფლიუერი გეგმა შეასრულეს

△ **თბილისი.** (საკ. კორ.). № 1 წისქვილკომბინატის (დირექტორი ვ. ბებიაშვილი) კოლექტივმა გონივრულად მოწყობილი შრომითა და ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრებით კარგ წარმატებას მიაღწია. პროდუქციის რეალიზაციის წლიური დავალება 15 ნოემბრისათვის შეასრულა. გეგმით გათვალისწინებული 31.497 ათასი მანეთის ნაცვლად რეალიზებულია 32.189 მანეთის პროდუქცია. სასაქონლო პროდუქციის გეგმა 101 პროცენტით გაანაღდა, ხოლო საერთო პროდუქციისა — 100,6 პროცენტით.

კომბინატის კოლექტივი, ითვალისწინებს რა რესპუბლიკაში მეფრინველეობის სწრაფ განვითარებას, სულ უფრო ზრდის კომბინირებული საკვების გამოშვებას. მეწისქვილეებმა თვენახევრით ადრე შეასრულეს კომბინირებული საკვების გამოშვების წლიური დავალება. გამოშვებულია 82 ათასი ტონა საკვები, გეგმა კი 80 ათას ტონას ითვალისწინებდა.

აღსანიშნავია, რომ მუშათა ხელფასის ზრდას შრომის ნაყოფიერება წინ უსწრებს 7,6 პროცენტით.

მეწისქვილეებმა მესამე კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით დამსახურებულად მოიპოვეს სსრ კავშირის დამზადების სამინისტროსა და პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

კომბინატის კოლექტივი კიდევ უფრო ფართოდ შლის სოციალისტურ შეჯიბრებას, რათა შეუფერხებლად მოამარაგოს რესპუბლიკის პურის ქარხნები ფქვილით და მეფრინველეობა კომბინირებული საკვებით.

△ **წითელწყაროს** რაიონის მეცხოველეებმა სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი ვადამდე გადაჭარბებით შეასრულეს. სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმა შესრულებულია 151,1 პროცენტით, რძისა — 107 პროცენტით, კვერცხისა — 137,8 პროცენტით, ხოლო შატყლისა — 106,7 პროცენტით. ამ წარმატებათა შესახებ რედაქციას აცნობეს პარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველმა მდივანმა ა. გონაშვილმა და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ი. ბაღაშვილმა.

ახალციხის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში მასობრივად იღებენ კარტოფილისა და კომბოსტოს მოსავალს. ამ მეურნეობის სანელის ნაკვეთზე უხვი მოსავალი მოიყვანა ბრიგადამ, რომელსაც ო. ოქანესიანი ხელმძღვანელობს. ბრიგადა 19 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე მიიღებს 200 ტონა კარტოფილს. ხერსონში: კარტოფილის მოსავლის აღება მეურნეობის სანელზე.

ფოტო ვ. მორბუნოვისა. (საქდისის ფოტოქრონიკა).

კეთილი საქმის თოთავენი

ლოფლად თუ ქალაქად როცა კეთილი საქმის ინიციატორი ადგილობრივი საბჭოებია, ამ ინიციატივას ყოველთვის თან ახლავს მასების, აქტივის, დეპუტატების ფართო მხარდაჭერა და მშრომელთა შემოქმედებითი აღმავლობა. ეს სხვანაირად არც შეიძლება, რადგან ხალხის საჭიროებათა საბჭოების ზრუნვა, მთელი მათი შემოქმედებითი შრომა მასებთან, აქტივთან მჭიდრო კავშირით ხორციელდება. ამიტომ არის, რომ ადგილობრივი საბჭოების ინიციატივიან მუშაობას, მასების მოთავეობას და წინამძღოლობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში, რომლებიც პარტიის XXIV ყრილობამ დაუსახა ჩვენს ხალხს, ხელისუფლების ყველაზე მახობრივ ორგანოებს — საბჭოებს.

ახლა ადგილობრივ საბჭოებს უდიდესი ავტორიტეტი აქვთ მშრომელებში. ეს ავტორიტეტი განაპირობა იმ დიდმნიშვნელოვანმა დადგენილებებმა და ღონისძიებებმა, რომლებიც პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ უკანასკნელ ხანს შეიმუშავეს. ამ ღონისძიებებმა არსებითად გაზარდა საბჭოების როგორც ადგილზე სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების უფლებები, გაფართოვდა მათი მატერიალურ-ფინანსური ბაზა, საბჭოების გამგეობებში გადავიდა დამატებითი საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებიც მოსახლეობას ემსახურებიან.

საბჭოები დიდ როლს ასრულებენ როგორც ქალაქში, ისე სოფლად წარმოების აღმავლობის საქმეში, ბინების, სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების მშენებლობის გეგმების შესრულებაში, საჭირო საქონლითა და მომსახურებით მშრომელთა შეუფერხებლად უზრუნველყოფაში.

განა შეიძლება საბჭოების მზრუნველობა მოაკლდეს ჩვენი ადამიანების კეთილდღეობის ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებს, როგორიც არის მშრომელთა დასვენების ორგანიზაცია, სპორტული, ტურისტული და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებების ქსელის გაფართოება და ა. შ.

ერთი სიტყვით, საბჭოებს უნარი შესწევთ გააკეთონ ყოველივე ის, რასაც მათგან ხალხი, ამომრჩევლები მოელიან. მაგრამ ამისათვის, რა თქმა უნდა, საჭიროა ფართო შემოქმედებითი ინიციატივა, თაოსნობა, საქმიანი სიყვარული, ახლის, პროგრესულის ყოველმხრივი მხარდაჭერა და განვითარება.

ცხინვალის რაიონში ერთ-ერთი მოწინავეა სოფელ ჭურთის სასოფლო საბჭო. ამ საბჭოს და მისი დეპუტატების თაოსნობით წელს სანინუშოდ მოეწყო სკოლების ახალი სასწავლო წლისათვის მომზადება. ამ საქმეში, რასაც დეპუტატები მეთაურობდნენ, ჩაებნენ აქტივისტები, ისინი, ვინც ეს სკოლები დაამთავრა, აგრეთვე მოსწავლეთა მშობლები, მასწავლებლები. აქ ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ სკოლების რემონტიც დროზე დამთავრებულიყო და ზამთრისათვისაც კარგად მომზადებულიყვნენ.

ამ საქმეში პირველი წამომწყები და ინიციატორი სასოფლო საბჭოს აღმასკომი და მისი დეპუტატები იყვნენ. სწორედ მათი თავდადებული, ენერგიული მუშაობა იყო მაგალითის მიმცემი იმ ათეულობით ადამიანისათვის, რომლებიც მხურვალედ გამოეხმაურნენ დეპუტატთა ინიციატივას და კოლექტიური შრომით გააკეთეს შესანიშნავი და უაღრესად კეთილშობილური საქმე — სკოლების სასწავლო წლისათვის და ზამთრისათვის მომზადების საქმე.

ასეთ და მრავალ სხვა ინიციატივას, რაც მუდმივ კომახიებში, დეპუტატებში იბადება, მზრუნველობითა და გულისხმიერებით ეკიდებიან პარტიული კომიტეტები. თქმა არ უნდა, ისევე როგორც ახლად დარგულ ნერგს მოვლა, ზრუნვა და ამაგი სჭირდება, რომ გაიზაროს და გაიაროს ადამიანი, ყოველ სასარგებლო ინიციატივას დროული გამოხმაურება, მხარდაჭერა და წახალისება უნდა. სადაც ეს ასე ხდება, იქ საქმეც წინ მიდის, ადგილობრივი საბჭოს, მისი დეპუტატების მიერ წამოწყებული ყოველი კეთილი საქმე ბედნიერად დაგვირგვინდება ხოლმე.

სოფელი აწყურის ახალციხის რაიონის ერთ-ერთი კეთილმოწყობილი სოფელია. აწყურის სასოფლო საბჭოში შემავალი სოფლების მშრომელებს შრომისა და ყოფაცხოვრების საუკეთესო პირობები აქვთ. მაგრამ სასოფლო საბჭოს დეპუტატები არ ჯაყოფილდებიან მიღწეულით. აქაური დეპუტატების ინიციატივასა და თაოსნობას ბევრი მხარდამჭერი ჰყავს. სასოფლო საბჭოსა და მისი დეპუტატების ინიციატივით აშენდა სკოლების შენობები, კეთილმოეწყო გზები, ბევრი რამ შეემატა მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს.

მრავალი კარგი წამოწყების ორგანიზატორები არიან ცხაკაიას რაიონის ნოსირის, თელავის რაიონის სოფელ ფშაველის, გეგეჭკორის რაიონის სოფელ სერგეთის, ზესტაფონის რაიონის ზედა საქარის, ფუთის სასოფლო საბჭოები და მათი დეპუტატები. მათი ინიციატივით კეთილმოეწყო მრავალი კილომეტრი გზა, აშენდა სკოლები, საავადმყოფოები, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, გაშენდა პარკები, გაყვანილ იქნა წყალსადენები, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ მათ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში.

ყოველივე ეს ხორციელდება იმით, რომ სასოფლო საბჭოების აღმასკომები ჯეროვნად ზრუნავენ, ინიციატივას იჩენენ ხალხის საკეთილდღეოდ. თავიანთ შემოქმედებითს შრომაში აბამენ დეპუტატებს, აქტივს, რაზმავენ მათ ინიციატივისა და თაოსნობის ფართოდ გავრცელების უზრუნველყოფისათვის, ამაღლებენ ყველა დეპუტატის, მთელი მოსახლეობის აქტივობას სოფლისა თუ დაბის ცხოვრების ყველა სფეროში.

რა თქმა უნდა, ყოველივე ამის შესრულება შეიძლება მხოლოდ ადგილმოპრავი პარტიული ორგანიზაციების მხარდაჭერით და მუდმივი ხელმძღვანელობით. ცხადია, მომავალშიც ადგილობრივმა პარტიულმა კომიტეტებმა მუდმივი მზრუნველობა არ უნდა მოაკლონ ხელისუფლების ძირეულ ორგანოებს, ყოველდღიურად წარმართონ მათი საქმიანობა სახალხო-სამეურნეო ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად.

ცხადია, პარტიულ ზრუნვას ადგილობრივმა საბჭოებმა იმით უნდა უპასუხონ, რომ კიდევ უფრო გააუმჯობესონ კულტურის, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა, საყოფაცხოვრებო მომსახურების, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობა, სისტემატიურად იზრუნონ დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობისათვის, ისე იშრომონ, რომ ჩვენი სოფლები, ჩვენი დაბები კიდევ უფრო კეთილმოწყობილი გახდნენ, კიდევ უფრო დამშვენდნენ, ჩვენს მშრომელებს შეექმნათ სასიამოვნო გარემო, ცხოვრების კარგი პირობები.

ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებს არასოდეს არ ჰქონიათ შესასრულებელი იმდენი საბრძოლო, საინტერესო, შემოქმედებითი სამუშაო, რამდენიც ახლა აქვთ. მათ ხალხისაგან, ამომრჩევლებისაგან მიიღეს მტკიცე განაწესი ყოველი ღონე იხმარონ პარტიის XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების წარმატებით შესრულებისათვის. საბჭოების, დეპუტატების ყურადღების ცენტრში ოჯახი იყოს საკითხები. თუ როგორ გაანაწილონ უკეთ თავიანთი ძალები, მიბრეველ რიგში რას მოახმარონ ორგანიზატორული, შემოქმედებითი მუშაობა, სად და რა საქმეში გამოიჩინონ ინიციატივა და გაავრცელონ თაოსნობა, რათა წარმატებით იბრძოლონ პარტიის XXIV ყრილობის მიერ საბჭოების წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით შესრულების საქმეში.

საბჭოების, მათი დეპუტატების ყოველგვარი ინიციატივა და თაოსნობა თვითეული კომუნისტის, საწარმოს, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის. დაწესებულების ხელმძღვანელის, თვითეული პარტიული ორგანიზაციის სისხლხორცეული საქმე, დიდი საზეიმო და საფიქრალია. სწორედ პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობამ, მუდმივმა ყურადღებამ უნდა განაპირობოს ის, რომ ადგილობრივი საბჭოების ინიციატივამ, თაოსნობამ, ხალხის საკეთილდღეოდ ყოველმა წამოწყებამ მუდამ ფრთები შეესხას და შრომელთა ბედნიერების საუკეთესო მერმისის საქმედ გადაიქცეს.

პირველ ადგილზე

ჰიათურა. (საკ. კორ.). გამართულად და რენტაბელურად მუშაობს საქშასტმშენის ტრესტის ჰიათურის სამმართველოს კოლექტივი (უფროსი ა. ხობუა), რომელიც სოციალისტური შეჯიბრების გაშლით, ახალი ტექნიკისა და შიგარეზერვების გამოყენებით წარმატებებს აღწევს. მესამე კვარტალში სამმართველოს კოლექტივმა დავალება 125 პროცენტით შეასრულა, მშენებლობის გაიაფებით 141 ათასი მანეთი დაზოგა და წარშანდეულთან შედარებით შრომის ნაყოფიერება 13 პროცენტით გაზარდა. ამ მაჩვენებლებით ჰიათურელმა გვირაბმშენებლებმა გაიმარჯვეს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

მოსკოვიდან აქ მიღებული დეპეშა იუწყება, რომ სამმართველოს კოლექტივს მიენიჭა საბჭოთა კავშირში პირველი ადგილი, სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს, მშენებელთა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, ფულადი პრემია.

ამ ცნობის საპასუხოდ მშენებლები უკეთ შრომობენ. ისინი უკვე დეკემბრის ანგარიშში მუშაობენ და მალე სამშობლოს წლიური გეგმის შესრულებას უპატაკებენ.

რაოდენობაც, ხარისხიც

ჟუთაისი. (საკ. კორ.) სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით მინის ტარის ქარხნის კოლექტივმა ვადაზე ერთი კვირით ადრე გადაჭარბებით გაანაღდა მომდინარე წლის ათი თვის დავალება. რესპუბლიკის საკონსერვო ქარხნების გეგმის გადამეტებით გაეგზავნა მილიონ 700 ათასი ცალი მინის ქილა, ხოლო მოსახლეობას — 7 ათასი მანეთის ბროლის ნაწარმი. გეგმის ზევით გამოშვებულია ავრეთვე 600 ათასი ცალი საადგილო ჭურჭელი და 44 ათასი ცალი მუყაოს ყუთი.

ქარხნის კოლექტივმა, რომელიც წლის დამდეგიდან ურეკლამაციოდ მუშაობს, 100 ათასი მანეთით გადაამეტა რეალიზაციის გათვალისწინებული მოცულობას და ათასობით მანეთი ზეგეგმითი მოგება მიიღო.

შრომითს ვახტზე

რუსთავი

ᲐᲛᲧᲝᲗᲘᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ქარხანამ 10 თვისა და 15 დღის დავალება 104,8 პროცენტით შეასრულა. გეგმის გადამეტებით რეალიზებულია 220 ათასი მანეთის პროდუქცია, თვითღირებულების შემცირებით მიღებულია 55 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება, შრომის ნაყოფიერება გაზრდილია 2 პროცენტით.

ქარხნის საამქროებში, უბნებში, ბრიგადებსა და ცვლებში ახლა ფართოდ იშლება სოციალისტური შეჯიბრება მომდინარე წლის დავალების ვადამდე შესრულებისათვის. ამ შეჯიბრებაში მრავალმა მუშამ, ბრიგადამ თუ ცვლამ ისახელა თავი; აქედან აღსანიშნავია კომუნისტური შრომის ბრიგადები, რომლებსაც ხ. ცხოვრებოვი, ი. ვაკულინი და ლ. კატრიხი ხელმძღვანელობენ. (საკ. კორ.).

ტყიბული

ᲝᲠᲒᲝᲜᲘᲫᲔᲘᲡ სახელობის შახტის კოლექტივმა (უფროსი ო. ობოლაძე, მთავარი ინჟინერი თ. ბუბამელია), რომელიც მაღალხარისხოვანი ენერგეტიკული ქვანახშირით ამარაგებს რესპუბლიკის მრეწველობას, ვადაზე 16 დღით ადრე შეასრულა თერმეტი თვის სახელმწიფო დავალება. გეგმის გადამეტებით მოპოვებული სათბობის რაოდენობამ უკვე 16 ათას ტონას გადაჭარბა.

დამკვრელური შრომის მაგალითს იძლევიან საექსპლოატაციო უბნების კოლექტივები, რომლებსაც გამოცდილი სამთოელები ვ. ჩაფიძე და გ. ონიანი ხელმძღვანელობენ. მეტი ქვანახშირისათვის ბრძოლის ფრონტზე თავი გამოჩინეს ნ. თავდორაძის, ა. რობაქიძის, გ. ღრუბელაშვილის, მ. ბოჭორიშვილის და ა. ხორსომელიძის კომუნისტური შრომის ბრიგადებმა.

ახლახან აქ ერთხელ კიდევ გადასინჯეს ადრე ნაკისრი ვალდებულებანი და გადაწყვიტეს წლის ბოლომდე დარჩენილ დროში გადამეტებით ამოიღონ 4 ათასი ტონა ქვანახშირი. (საკ. კორ.).

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲜᲘ

● საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სამრეწველო საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის სამშენებლო ობიექტების დროულად და ხარისხოვნად ჩაბარებისათვის, მესამე კვარტალის მუშაობის შედეგებით მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაში.

სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს კოლეგიისა და მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 2 საერთო-სამშენებლო ტრესტის კოლექტივი აღიარებულია სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულად და მას მიენიჭა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

● საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო ორგანიზაციათა და სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა ფართოდ გაიჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმების ვადამდე და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის და მნიშვნელოვან გამარჯვებებს აღწევენ. მთელმა რიგმა სამშენებლო ორგანიზაციებმა წარმატებით გაანაღდეს სოციალისტური ვალდებულებანი და მესამე კვარტალის მუშაობის შედეგებით გაიმარჯვეს რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს კოლეგიამ და საქართველოს მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა მესამე კვარტალის რესპუბლიკური შეჯიბრების გამარჯვებულად ცნეს და დაჯილდოვეს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშებითა და პირველი ფულადი პრემიით — „საქშასტმშენის“, № 7 ტრესტის „ტყიბულშახტმშენის“ სამშენებლო სამმართველოსა და „მშენინდუსტრის“ ტრესტის მოსაპირკეთებელი მასალების კომბინატის კოლექტივები. (საქდისი).

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ

18 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო სომალის დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი რევოლუციური საბჭოს პრეზიდენტი გენერალი მოჰამედ სიად ბარე.

საუბრის დროს, რომელიც გულითადობისა და მეგობრობის ვითარებაში მიმდინარეობდა, შეეხნენ საბჭოთა კავშირ-სომალის ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხებს და თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის აქტუალურ პრობლემებს. გაიმართა აგრეთვე აზრთა ურთიერთგაზიარება აფრიკის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პრობლემებზე, იმპერიალიზმის და კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში პროგრესული ძალების ერთიანობის საკითხებზე.

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ

18 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო სომალის დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი რევოლუციური საბჭოს პრეზიდენტი გენერალ მოჰამედ სიად ბარე.

საუბრის დროს, რომელიც გულითადობისა და მეგობრობის ვითარებაში მიმდინარეობდა, შეეხნენ საბჭოთა კავშირ-სომალის ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხებს და თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის აქტუალურ პრობლემებს. გაიმართა აგრეთვე აზრთა ურთიერთგაზიარება აფრიკის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პრობლემებზე, იმპერიალიზმის და კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში პროგრესული ძალების ერთიანობის საკითხებზე.

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ

19 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი კრემლში შეხვდა სომალის დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი რევოლუციური საბჭოს პრეზიდენტს გენერალ მოჰამედ სიად ბარეს. გაიმართა აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირ-სომალის ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხებსა და საერთაშორისო პრობლემებზე, რომელთა გადაჭრისათვის იღვწიან სსრ კავშირი და სომალი.

საუბრის დროს, რომელიც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, ორივე მხარემ კმაყოფილება გამოთქვა საბჭოთა კავშირისა და სომალის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრული ურთიერთობისა და მჭიდრო თანამშრომლობის გამო.

საუბარში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, საბჭოთა კავშირის ელჩი სომალის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ა. ს. პასიუტინი, სომალის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანი ომარ არტეჰ გალიბმა.

ხელმოწერას დაესწრნენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დ. ხ. ტიხონოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, საბჭოთა კავშირის ელჩი სომალის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ა. ს. პასიუტინი, სომალის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანი ომარ არტეჰ გალიბი და სომალის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში ა.ᲐᲓᲔᲜ მუს�მედ ᲐᲓᲔᲜᲘ. (საკდისი).

Ა. Ნ. ᲙᲝᲡᲘᲒᲘᲜᲘ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ ᲛᲝᲰᲐᲛᲔᲓ ᲡᲘᲐᲓ ᲑᲐᲠᲔᲡ

19 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი კრემლში შეხვდა სომალის დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი რევოლუციური საბჭოს პრეზიდენტს გენერალ მოჰამედ სიად ბარეს. გაიმართა აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირ-სომალის ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხებსა და საერთაშორისო პრობლემებზე, რომელთა გადაჭრისათვის იღვწიან სსრ კავშირი და სომალი.

საუბრის დროს, რომელიც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, ორივე მხარემ კმაყოფილება გამოთქვა საბჭოთა კავშირისა და სომალის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრული ურთიერთობისა და მჭიდრო თანამშრომლობის გამო.

საუბარში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, საბჭოთა კავშირის ელჩი სომალის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ა. ს. პასიუტინი, სომალის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანი ომარ არტეჰ გალიბი და სომალის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში ᲐᲓᲔᲜ მუსᲐᲛᲔᲓ ᲐᲓᲔᲜᲘ. (საკდისი).

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲨᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲡᲠᲔᲜᲘ ᲛᲮᲣᲠᲕᲐᲚᲔᲓ ᲘᲞᲝᲜᲔᲑᲔᲜ ᲡᲐᲥᲠᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘ Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲖᲔ

18 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘᲡ მოსკოვში ნ. ხ. ტიხონოვის თავმჯდომარეობით გაიმართა საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა. მასში მონაწილეებმა განიხილეს საბჭოთა კავშირის მშვიდობის მოძრაობის ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობენ საფრანგეთში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის შედეგებიდან. ინფორმაცია ამ საკითხზე გააკეთა საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ გ. ა. ᲤᲣᲙᲝᲕᲐ, სხდომაზე გამოვიდნენ საბჭოთა საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, რომლებმაც გამოხატეს მშვიდობის ყველა საბჭოთა მოქალაქის ერთიანობა და მხურვალედ მოიწონეს საფრანგეთში ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის შედეგები.

მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება ამ საკითხზე, რომელშიც მაღალი შეფასება მისცა საფრანგეთში გამართულ მოლაპარაკების შედეგებს, როგორც დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის აქციას, რომელიც შეესაბამება საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ხალხების საარსებო ინტერესებს, აგრეთვე ყველა ხალხის ინტერესებს.

პრეზიდიუმმა დასახა საფრანგეთის მშვიდობის მოძრაობასთან, იმ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და მოღვაწეებთან ურთიერთობის შემდგომი გაფართოების დონისძიებანი, რომლებიც მხარს უჭერენ ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობის განვითარებას ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებისათვის.

სხდომაზე აგრეთვე მოისმინეს და განიხილეს აკადემიკოს ე. კ. ფედოროვის მოხსენება განიარაღების საკითხებზე მოსკოვში გამართული მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო შეხვედრის შედეგების შესახებ. (საკდისი).

ᲚᲔᲚᲘ ᲛᲝᲐᲜᲔᲠᲔᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠ-ᲡᲝᲛᲐᲚᲘᲡ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲡ

19 ნოემბერს კრემლის დიდ სასახლეში ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-სომალის დოკუმენტებს.

საბჭოთა კავშირ-სომალის განცხადებას ხელი მოაწერეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ და სომალის დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი რევოლუციური საბჭოს პრეზიდენტმა გენერალმა მოჰამედ სიად ბარემ.

საკონსულო კონვენციას ხელი მოაწერეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ და სომალის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანმა ომარ არტეჰ გალიბმა.

ხელმოწერას დაესწრნენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დ. ხ. პოლიანსკი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ა. მ. კლიჩკინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები Ო. Ტ. ᲜᲘᲙᲘᲤᲝᲠᲝᲕᲘ, ნ. ა. ტიხონოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. Თ. ᲑᲘᲠᲙᲐᲫᲔ, სსრ კავშირის მინისტრები ა. ა. ᲒᲠᲘᲠᲙᲝ, მ. Თ. ᲔᲚᲘᲖᲐᲒᲘᲜᲘ, ა. Ა. ᲘᲠᲘᲮᲝᲕᲘ, მ. Ა. ᲨᲣᲠᲘᲪᲘᲜᲐ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო-ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ხ. Ა. ᲡᲐᲥᲐᲠᲝᲕᲘ, სსრ კავშირის მინისტრების მოადგილეები ხ. Ა. ᲒᲝᲖᲘᲠᲝᲕᲘ, Ი. Მ. ᲡᲘᲛᲘᲩᲘᲡᲐᲜᲪᲔᲕᲘ, საბჭოთა კავშირის ელჩი სომალში Ა. Ხ. ᲞᲐᲡᲘᲣᲢᲘᲜᲘ და სხვა ოფიციალური პირნი;

სომალის მხრივ — უმაღლესი რევოლუციური საბჭოს ვიცე-პრეზიდენტი, ინფორმაციისა და ეროვნული ორიენტაციის საქმეთა სახელმწიფო მდივანი პოლკოვნიკი ᲘᲡᲛᲐᲘᲚ ᲐᲚᲘ ᲐᲑᲓᲘᲨᲐᲠᲘ, უმაღლესი რევოლუციური საბჭოს წევრი ეროვნული არმიის სარდლის მოადგილე, გენერალური შტაბის უფროსი ბრიგადის გენერალი ᲐᲑᲓᲣᲚᲐ ᲘᲛᲐᲐᲚᲘᲡ ᲨᲐᲓᲝᲚᲘ, დაგეგმვისა და კოორდინაციის საქმეთა სახელმწიფო მდივანი ᲐᲛᲛᲔᲓ ᲛᲝᲰᲐᲛᲔᲓᲘ, მრეწველობის საქმეთა სახელმწიფო მდივანი ᲘᲑᲠᲐᲰᲘᲛ ᲛᲔᲘᲒᲐᲠ ᲡᲐᲛᲐᲜᲓᲐᲠᲘ, ვაჭრ

ყველა რომ პასუხს აგებდეს...

კრების მონაწილის ჩანაწერიდან

ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲒᲔᲑᲐ-ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ წარმოსადგენია როგორ ახალგაზრდობით მიღწევები, საშეურნეო წარმატებები დამთავრება იმათ, ვინც სოფლად, დარსა თუ ავდარში, საკოლმეურნეო მინდვრებზე მოღვაწეობენ, უშუალოდ ქმნიან მატერიალურ დოვლათს. და აი ხელვაჩაურის რაიონის ფერიის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელებიც აჯამებენ თვითეთან ნამუშევარს, ახარებთ წარმატებანი, რომლებითაც ამთავრებენ მეცხრე ხუთწლედის პირველ სამეურნეო წელს. მაგრამ ამ სიხარულს სინანულის გრძნობაც ახლავს, რადგან ყველა კომუნისტმა, ყველა კოლმეურნემ როდი გაიკეთა ყველაფერი ის, რაც შეეძლო.

აღსანიშნავია მეჩაიეების წლეულდელი შრომა. მათ შარშანდელთან შედარებით 20 ტონით მეტი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს და 21 დღით ადრე შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური დავალება. მისაბაძია პირველი, მეორე და მესამე ბრიგადების მეჩაიეთა მუშაობა, რომლებმაც შრომის უკეთესი ორგანიზაციით, პლანტაციაზე გამოდგებული ზრუნვით, აგროტექნიკური ღონისძიებების ჯატარებით მაღალი მოსავალი მიიღეს.

გასულ წლებში იმის გამო, რომ მოშლილი იყო დისციპლინა, მოუწყობელი იყო შრომა, გაცხარებული ხუბანს ხდებოდა ზოგს სამუშაოზე მიდიოდა, განსაკუთრებით ჩამორჩებოდა მესამე ბრიგადა, იგი ყოველწლიურად გეგმის შესრულებას 8-9 ტონა ჩაის ნედლეულს აკლებდა, ახლა კი კრებაზეც ხაზგასმით აღნიშნავენ, იმას, რომ როცა ბრიგადის თვითეულმა წევრმა, თვითეულმა კომუნისტმა იგრძნო პასუხისმგებლობა, მდგომარეობა გამოსწორდა, უხეი მოსავალი მიიღეს და ჩაის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 368 კილოგრამით გაზარდეს.

სოფლის მშრომელები ამაყობენ, რომ კოლმეურნეობას სხვა დარგშიც აქვს წარმატებები. გადაჭარბებით შესრულდა ლაო ჩაის გეგმა, საკოფეინე ჩაის მასალა ნაცვლად 60 ტონისა სახელმწიფოს მიეყიდა 65,8 ტონა, ტუნგოს ნაყოფი 25 ტონის ნაცვლად — 27,3 ტონა. ასევე წარმატებით შესრულდა აბრეშუმის პარკის, მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების გეგმები. უნდა მოსავალს იღებენ ამეამად მეციტრუსეები.

კოლმეურნეობის ამ და სხვა წარმატებებზე საინგარიშო-საარჩევნო კრებაზე ილაპარაკა საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის მდივანმა ო. აჩუგამ.

მიღწევებს სწორი ანალიზი გაუკეთეს აგრეთვე კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. გიორგაძემ, ბრიგადირმა ზ. ქათამაძემ, ფერმის გამგემ ჯ. ბაკურიძემ და სხვებმა. მათ თქვეს, რომ პარტიული ორგანიზაცია ახლა უკეთ მონაწილეობს და ავანგარდულ როლს ასრულებს სოფლის ცხოვრებაში, პარტბიუროს სხდომებზე, პარტიულ კრებებზე განიხილავდნენ საკითხებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ. პარტბიუროო, კომუნისტები ჩაუდგნენ სათავეში და განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება — სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ. ამის შედეგად ახლებურად გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება; მეურნეობის კოლექტივმა შეჯიბრებაში გამოიწვია ერთის კოლეგის სახელობის ᲕᲝᲚᲒᲝᲒᲠᲐᲓᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲘ.

კარგია, რომ ბევრგან წარმოების გადამწყვეტ უბნებს კომუნისტები ხელმძღვანელობენ, სათავეში უდგანან ბრიგადებსა და რგოლებს, მუშაობენ საკოლმეურნეო ფერმებში. კომუნისტები ზ. ქათამაძე, ზ. შარაშიძე, მ. მემედოვი, ჯ. ბაკურიძე, ი. ტარიელაძე და სხვები მატერიალურად წარმოების სფეროში არიან დასაქმებული და კომუნისტური შრომის მაგალითებს იძლევიან.

მაგრამ საინგარიშო-საარჩევნო კრებაზე, წარმატებებთან ერთად, აღინიშნა მთელი რიგი ნაკლოვანებანი. რომლებიც პარტბიუროს მუშაობაში აქვს და რომლებმაც ერთგვარი გაავლენა იქონია სასოფლო-სამეურნეო წლის შედეგებზე. როგორც ითქვა, სამწუხაროდ ახლაც არც თუ იშვიათია შემთხვევა, როცა ზოგიერთი კომუნისტი არ გრძნობს პასუხისმგებლობას და ნებადაურთავად კვლავ ტოვებს სოფელს, მიდის გარე საშუშაოზე. ასე მოიქცნენ კომუნისტები მ. ბერიძე, ი. ასამბაძე, მ. გორგილაძე, გ. მესხი... მოკამთეებმა ისიც თქვეს, რომ არც პარტბიუროს სხდომაზე და არც პარტიულ კრებაზე არ უმსჯელიათ უდისციპლინო კომუნისტების შესახებ და მათზე არავითარი ზომები არ მიუღიათ. აი რატომ არის რომ კოლმეურნეობაში შრომის დისციპლინა კვლავ ვერა დგას სათანადო სიმაღლეზე.

სერიოზული ნაკლოვანებებია მასობრივ - პოლიტიკური, საგიტაციო მუშაობის დარგში, საანგარიშო პერიოდში ერთხელაც არ არის განხილული საკითხი აგიტატორების მუშაობის შესახებ. აგიტატორებს მ. კალაჯეგეს, მ. მამულაძეს არც იცნობენ ბრიგადის წევრები. სუსტად მუშაობენ აგიტატორები თ. ხურცილავა, გ. კალაჯეგი. აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი რ. ქიქაია, არ იწუხებს თავს აგიტატორების დასახმარებლად მათი მუშაობის შემოწმებისათვის. მართალია, კოლმეურნეობაში არიან მოწინავე აგიტატორები — ნ. გორგოშაძე, ე. ცენტერაძე, მ. ბაკურიძე, რომლებიც სისტემატურად ატარებენ საუბრებს, უშვებენ შინაარსიან და მიმზიდველ საველე ფურცლებს, მაგრამ მათი გამოცდილების განზოგადოებისათვის არაფერი გაუკეთებიათ.

პარტიული ორგანიზაცია სუსტად ხელმძღვანელობს საკოლმეურნეო კომკავშირულ ორგანიზაციასაც, რომლის მუშაობა არადამაკმაყოფილებელია. თითქმის ჩაშლილია კომკავშირული პოლიტსკოლის მუშაობაც.

სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი გაუმჯობესების საკითხებზე ილაპარაკა ხელვაჩაურის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ნ. ბახტაძემ.

კიდევ ბევრი რამ ისეთი ითქვა კრებაზე, რამაც კომუნისტები დაფიქრა. ისინი დაიშალნენ რწმენით, რომ ახლადარჩეული პარტბიუროო უკეთ მოაწყობს პარტიულ-პოლიტიკურ და ორგანიზატორულ მუშაობას. ეს დაეხმარება მათ, რომ უფრო ნაყოფიერად იშრომონ მომავალ წელს.

Ლ. ᲛᲝᲠᲒᲝᲨᲘᲐ,
ხელვაჩაურის რაიონის ფერიის კოლმეურნეობის უფროსი ᲐᲮᲠᲝᲜᲘᲙᲝ.

ᲒᲐᲕᲣᲤᲠᲗᲮᲘᲚᲓᲔᲗ ᲡᲐᲛᲬᲐᲛᲝᲠᲝ ᲛᲐᲠᲙᲘᲡ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲙᲚᲣᲑᲘᲡ

როცა ნაჩუქარზე ზრუნავენ

● ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲚᲘᲗᲝᲤᲝᲜᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐᲡ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲔᲠᲒᲔᲯ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲣᲚᲨᲘ, ᲘᲡᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ, ᲛᲘᲪᲔᲚᲘ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲒᲐᲚᲘᲡ ᲗᲕᲔᲨᲘ ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲠᲘᲙᲚᲐᲛᲐᲪᲘᲐ ᲐᲠ ᲛᲘᲣᲚᲘᲐ. ● ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲘᲐᲚᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ — ᲛᲨᲠᲐᲚᲘ ᲚᲘᲗᲝᲤᲝᲜᲘ, ᲡᲠᲘᲡᲘᲚᲘ ᲡᲐᲚᲔᲑᲐᲕᲘ, ᲛᲘᲪᲮᲠᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲗ ᲡᲐᲪᲮᲝᲑᲐᲓᲘᲗ ᲨᲔᲣᲪᲚᲔᲑᲐᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲑᲡ. ● ᲡᲣᲚ ᲪᲐᲚᲔ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲨᲐᲑᲘᲐᲜᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲜᲘᲨᲐᲜᲘ ᲔᲥᲜᲔᲑᲐ.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ლითოფონის ქარხანამ (დირექტორი ა. ოყრუშიძე) მტკიცედ დაიმკვიდრა ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ქიმიური საწარმოს სახელი. ქარხანას ახლახან კომუნისტური შრომის სპეციალურ წოდება მიეკუთვნა, ხოლო მისმა კოლექტივმა, რომელიც ზედიზედ რვაჯერ პირველ ადგილზე გამოვიდა საბჭოთა კავშირში, მიმდინარე წლის მეორე კვარტალის შედეგებით ასევე მერვედ შეინარჩუნა სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროსა და ნავთობის და ქიმიური მრეწველობის მუშაობა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. ქარხნის კოლექტივი სულ უფრო მაღალ მაჩვენებლებს აღწევს პროდუქციის ტექნიკური დონის, ეკონომიურობისა და ხარისხის გაუმჯობესების საქმეში. აქ გამოშვებული პროდუქცია სავსებით შეეხაბამება სახელმწიფო სტანდარტებს და თავისი ხარისხობრივი, ტექნიკურ-ეკონომიური მახასიათებლებით მოწონებასა და აღიარებას იმსახურებს. ამიტომაც არის, რომ ქარხანას არც მერვე ხუთწლედში, არც მიმდინარე ხუთწლედის დამდეგიდან არც ერთი რეკლამაცია არ მიუღია.

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებით და მისი თვითღირებულების შემცირებით ქარხანამ შარშან 5 მილიონამდე მანეთი მოგება მიიღო, მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში — 4 მილიონ მანეთზე მეტი.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ლითოფონის ქარხანამ ქალაქის საწარმოთა შორის ერთ-ერთმა პირველმა დანერგა წარმოებაში სარატოვის სამრეწველო საწარმოთა მოწინავე გამოცდილება. ქარხნის პარტიული კომიტეტის ინიციატივით სარატოველთა მეთოდის შესასწავლად სპეციალისტთა ერთი ჯგუფი შარშან მიავლინეს ქ. ზაგორსკის ლაქ-ემალების ქარხანაში, ხოლო მიმდინარე წელს მეორე ჯგუფი —ქ. იაროსლავლის ქიმიურ საწარმოებში.

სულ უფრო ფართოდ ჩაღდება მოძრაობა პროდუქციის პირველი წარდგენისთანავე ჩაბარებისათვის. ახლა უდაფუძტოდ ჩაბარების სტატუსზე გადასული არიან შაბიამნისა და ლაქ-ემალის საამქროების კოლექტივები, სხვა საამქროთა ასზე მეტი მუშა. ქარხნის კოლექტივი მიღწეულს არ სჯერდება, ზრუნავს იმისათვის, რომ ხუთწლედში არა მარტო ურეკლამაციოდ იმუშაოს, არამედ თავისი პროდუქცია საუკეთესო მსოფლიო სტანდარტების დონეზე აიყვანოს.

თუმცა ლითოფონის ხარისხზე ჯერ არც ერთ მომხმარებელს პრეტენზია არ გამოუთქვამს, მაგრამ ქარხანაში მაინც გამონახეს და აამჟამედეს ამ ძირითადი პროდუქციის ტექნიკური დონის შემდგომი ამაღლების რეზერვები. ლითოფონის საამქროში გაუმჯობესდა გამოსაწვავი ღუმელების მერმეტიულობა, მოეწყო ლითოფონის სუსპენზიის ვაკუუმფილტრებზე ავტომატური გადაქარგა, ტექნოლოგიურ სქემაში ჩაირთო ბუფერულებიანი წისქვილი.

ახალი ტექნიკისა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის შედეგად ლითოფონში თუთიის უანგის შემცველობა 1.25 პროცენტიდან 1 პროცენტამდე დაიყვანეს, ამასთან გაუმჯობესეს მისი ფერი. იგი უფრო თეთრი გახდა. ასეთი ლითოფონი კი, როგორც ძვირფასი თეთრი პიგმენტი, თავის მხრივ მკვეთრად აუმჯობესებს ლაქ-საღებავებისა და რეზინის ნაწარმის ხარისხს.

ქარხანამ თავისი სახსრებით შეიძინა და ლაქ-ემალების საამქროში დაამონტაჟა სამი ახალი წისქვილი, რითაც გაუმჯობესდა ემალების გადალესვის ტექნოლოგია, მკვეთრად ამაღლდა ნაწარმის ხარისხი. ამ სიახლის დანერგვაში დიდი შრომა ჩაქსოვეს ქარხნის მთავარი მექანიკოსის მოადგილემ მ. დათიაშვილმა, საამქროს უფროსმა ა. ბოსნიაკოვმა და ტექნოლოგმა ი. გიორგაძემ.

წელს ხრესილი საღებავების საამქროში ქარხნის ელექტრომეურნეობის უფროსის ირ. გიორგაძისა და ინჟინერ გ. ცხვარაძის ერთობლივი წინადადებით დიდგზა ლენტური ტრანსპორტიორები. ახლა მთლიანად მექანიზებული გახდა შემზელ აპარატებზე ნედლეულის მოწოდება.

ქარხანა გეგმით მთლიანად მეორე ხარისხის შაბიამნს უნდა უშვებდეს. მაგრამ ფაქტიურად უკვე 1969 წელს მთლიანად გამოშვებული შაბიამნის ერთი მესამედი პირველი ხარისხისა იყო. 1970 წელს პირველი ხარისხის შაბიამნის წარმოებამ ორ მესამედს მიაღწია, ხოლო მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში — 98 პროცენტს.

პირველი ხარისხის შაბიამნის გამოშვების გადიდებისა და მისი რეალიზაციის შედეგად ქარხანამ გასულ წელს დამატებით მიიღო 86 ათასი მანეთი მოგება, ხოლო მიმდინარე წელს გაცილებით მეტს მიიღებენ.

ქარხნის კოლექტივმა დასახა ახალი ხაბრძოლო ამოცანა — წელსვე მიაღწიოს მთლიანად პირველი ხარისხის შაბიამნის წარმოებას და მიიღოს ხარისხის სახელმწიფო ნიშანი.

„ხარისხის ნიშანი“... ჩვენი ქვეყნის ბევრ კუთხეში და მის ფარგლებს გარეთაც, კერძოდ, ირანში იცნობენ ქართულ შაბიამნს. ყოველ მხრიდან დადებითი შეფასება მოდის. მაგრამ „ხარისხის ნიშანი“ მაინც სხვაა, მისი მოპოვება დაძაბულ შემოქმედებითს ძიებასა და შრომას მოითხოვს.

კიდევაც გადადგეს ქუთაისელმა ქიმიკოსებმა ხაბისო ნაბიჯები. ჯერ ერთი — ყველა ძირითად მიმხმარებელს მისწერეს — თავიანთი აზრი და დასკვნები გამოუგზავნონ ქართული შაბიამნის ავკარგიანობაზე, მეორეც—ჩვენი ქვეყნის შაბიამნის მწარმოებელ მსხვილ საწარმოებს — ოდესის ხუპერფოსფატისა და ალავერდის ხაბილნქიმიური კომბინატს სთხოვეს გამოგზავნონ მათ მიერ გამოშვებული შაბიამნის ხარისხობრივი მახასიათებლები, მესამეც — ხრულიად საკავშირო გაერთიანება „სოიუზხიმეკსპორტს“ და სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის სამინისტროს ფერადი ლითონების სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს თხოვნით მიმართეს აცნობონ საზღვარგარეთის და სამამულო წარმოების შაბიამნის ტექნიკური დონისა და ხარისხის მაჩვენებლები. ქარხანამ უკვე მიიღო მომხმარებელთა ერთი ნაწილის დასკვნები, საზღვარგარეთის სტანდარტების ტაბულა, აგრეთვე მონაცემები სხვადასხვა ქვეყნის იმ შაბიამნებზე, რომლებზეც დიდი მოთხოვნილებაა მსოფლიო ბაზარზე. ახლა უკვე ამ დასკვნასა და მონაცემებს საგულდაგულოდ ამოწმებენ, სწავლობენ, კიდევ ერთხელ ცდიან, ეძებენ ახალ გზებს, რომ ქართულმა შაბიამანმა ხარისხის ნიშანი მიიღოს, საუკეთესო მსოფლიო სტანდარტებს გაუტოლდეს. ქუთაისელ ქიმიკოსთა დაუცხრომელი შემოქმედებითი ძიება, შეუპოვარი შრომა იმის საწინდარია, რომ ეს საქმე წარმატებით დაგვირგვინდება.

Შ. ᲯᲘᲐᲕᲐᲮᲐᲫᲔ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲬᲠᲗᲝᲒᲘᲡ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ

ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲞᲔᲓᲐᲒᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲨᲐᲠᲐᲜᲘᲐ ᲛᲘᲣᲒᲖᲐᲕᲜᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲦᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲧᲝᲕᲚᲛᲮᲠᲘᲕ ᲞᲐᲠᲛᲝᲜᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲐᲛᲘᲗᲐᲛ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲬᲐᲜᲐᲠᲝ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ ᲓᲐᲛᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲐ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲕᲘᲜᲬᲧᲝᲗ, ᲠᲝᲛ ᲐᲦᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲚᲝᲜᲘᲗᲘᲠᲘ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲦᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲗᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲕᲘᲜᲬᲧᲝᲗ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲦᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ, ᲐᲛᲐᲒᲠᲔᲗ ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲗᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲕᲘᲜᲬᲧᲝᲗ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲦᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲗᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘ. ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲦᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲐ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲦᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲧᲝᲕᲚᲛᲮᲠᲘᲕ ᲞᲐᲠᲛᲝᲜᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲬᲐᲜᲐᲠᲝ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐᲓᲐ, ᲛᲘᲡᲘ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲐᲦᲭᲘᲠᲝᲗ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲦᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲘᲡᲐᲑᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ ᲓᲐᲛᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲐ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲦᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲧᲝᲕᲚᲛᲮᲠᲘᲕ ᲞᲐᲠᲛᲝᲜᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲬᲐᲜᲐᲠᲝ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐᲓᲐ, ᲛᲘᲡᲘ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲐᲦᲭᲘᲠᲝᲗ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲦᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲘᲡᲐᲑᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐᲓ

დროის მოთხოვნა

ევროპის უფართოესი საზოგადოებრივი წრეები სულ უფრო აქტიურად მოითხოვენ, რომ უახლოეს ხანში მოეწყოს სრულიად ევროპის თათბირი უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის საფრანგეთში ამასწინანდელი ვიზიტის შედეგები ბევრი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის აზრით დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია სრულიად ევროპის თათბირის მოწვევის გზაზე. მხურვალედ იწონებენ საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის იმ საერთო თვალსაზრისს, რომ საჭიროა რაც შეიძლება მალე დაიწყოს თათბირის მრავალმხრივი მომზადება, რათა იგი გაიმართოს უკვე 1972 წელს. სრულიად ევროპის თათბირის მოწვევის მხარდასაჭერად გამოსულნან განსმკაცებს პოლიტიკური პარტიების, პროფკავშირების, ახალგაზრდობის, ქალთა, რელიგიურ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა პრაქტიკული მოქმედება.

ბევრ ქვეყანაში შექმნილია და მუშაობს მოსამზადებელი კომიტეტები, საინიციატივო ჯგუფები, უწყობა საზოგადოებრივობის მატარგები და კონფერენციები.

პარიზი. სრულიად ევროპის თათბირი უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე შეიძლება გაიმართოს და კიდეკაც უნდა გაიმართოს უკვე მომავალ წელს, განაცხადა საკიდესის კორესპონდენტთან საუბარში საფრანგეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის პროფესორმა პ. დეგილერმა. ამისათვის ყოველგვარი პირობებია შექმნილი. ევროპაში დაძაბულობის შენელება, ეროვნული ეკონომიკური თანამშრომლობისა და ტექნიკური გაცვლის პრობლემები.

ამავე დროს შუმანმა თქვა, რომ საფრანგეთს კვლავ თავშეკავებული პოზიცია უკავია ევროპაში მიმდინარე ძალების ბრძოლის შესახებ. ამ საკითხში ერთ-ერთ ადგილს იკავებს ევროპაში ძალების ბალანსი. ამ საკითხში, რამდენადაც მისი პოლიტიკა არ ცნობს სამხედრო ბლოკებს სისტემას.

მინისტრი შეეხო ევროპის გაერთიანებას მდგომარეობას და აღიარა საერთაშორისო სავალუტო კრიზისით გამოწვეული სერიოზული უთანხმოებანი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის შესვლისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის დელეგაციის წარმომადგენლის სიტყვის გამო შუმანმა აღნიშნა, რომ არავითარი საფუძველი არა გვაქვს მივიჩნიოთ, თითქოს პეკინის მთავრობის პოზიციაში რაიმე ცვლილებანი მომხდარიყოსო.

თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი საკითხი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXVI სესიაზე

ნიუ-იორკი. 19 ნოემბერი. (საკადესი). ამ დღეებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXVI სესიის პლენარულ სხდომებზე განხილავენ თანამედროვეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს — საბჭოთა კავშირის წინადადებას განიარაღების მსოფლიო კონფერენციის მოწვევის შესახებ.

წინადადება კონფერენციის მოწვევის შესახებ ფართოდ მოიწონეს გენერალური ასამბლეის მიმდინარე სესიის დასაწყისშივე — ზოგად პოლიტიკური დისკუსიის დროს. ეს წინადადება მოიწონეს აგრეთვე მიუმხრობელი ქვეყნების წარმომადგენლებთან საკონსულტაციო შეხვედრაზე, რომელიც ამას წინათ გაიმართა ნიუ-იორკში.

წამოჭრილი საკითხის აქტუალობას მოწმობენ ციფრები, რომლებიც მოყვანილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოხსენებაში გამაღლებული შეიარაღების ეკონომიური და სოციალური შედეგების შესახებ. თუ 1961 წელს ყველა ქვეყანამ ერთად სამხედრო მზნებისათვის დახარჯა დაახლოებით 150 მილიარდი დოლარი, 1970 წელს სამხედრო ხარჯები აღემატებოდა 200 მილიარდ დოლარს. შეიარაღების ზრდის ახლანდელი ტემპის შენარჩუნების პირობებში 1980 წლისათვის სამხედრო ხარჯები შეიძლება 300-350 მილიარდ დოლარამდე გაიზარდოს. ახლა მთელ მსოფლიოში შეიარაღების ხარჯები ფაქტიურად ორნახევარჯერ აღემატება ჯანმრთელობის დაცვის ხარჯებს, ერთნახევარჯერ — განათლების ხარჯებს.

დელეგატთა უმრავლესობის აზრით, განიარაღების მომზადებულ საკითხთა გადაჭრის საუკეთესო საშუალება იქნებოდა კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებდა მსოფლიოს ყველა ქვეყანა. ხაზგასმით აღინიშნა, რომ მსოფლიო კონფერენცია შექმნიდა აზრთა ფართო გაზიარების შესაძლებლობას, დასახავდა გამაღლებული შეიარაღების მიჩერების, ატომური იარაღისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის, მათი წარმოებისა და გამოყენების დაუყოვნებლივ აკრძალვისა და გაუქმების გზებს. გახსნილის მონაწილეები აღნიშნავდნენ, რომ კონფერენცია იქნებოდა ისეთი ფორუმი, რომელზეც მსოფლიოს ყველა ქვეყანა თანაბარ პირობებში და ყოველნაირი გამონაკლისისა და დისკრიმინაციის გარეშე ერთად განიხილავდა განიარაღების ყველა [illegible] კონფერენციის მოწვევისათვის. ამ ბოლო წლებში დაიდო მთელი რიგი ხელშეკრულებანი, რომელთა მიზანია ნაწილობრივი განიარაღება. სოციალისტური ქვეყნების მტკიცე, მშვიდობიმოყვარული ღონისძიებების, აგრეთვე დასავლეთის ზოგიერთი ქვეყნების რეალისტური ნაბიჯების შედეგად ევროპაში შენელდა დაძაბულობა. მთელმა რიგმა დელეგატებმა აღნიშნეს ეს ტენდენცია, რომელიც ხელს უწყობს კონფერენციის მოწვევას.

„ორერას“ წარმატება

კატმანდუ. 19 ნოემბერი. (საკადესი). ნეპალის პრესა კომენტარს უძღვნის საბჭოთა ხელოვნების წარმომადგენელთა ჯგუფის გამოსვლას ქართული ანსამბლის „ორერასა“ და მოსკოვის ესტრადის წამყვანი ოსტატების შემადგენლობით, რაც აქ მიმდინარეობდა 9-18 ნოემბერს.

აღნიშნავს რა, რომ პროგრამის ხაფუძველი იყო „ორერას“ ანსამბლის გამოსვლა, გაზეთ „რაზინგ ნეპალის“ მუსიკალური კრიტიკოსი ხაზს უსვამს მათ ელეგანტურობას, სხვადასხვა ინსტრუმენტის დაკვრის მაღალ ოსტატობასა და საუცხოო მონაცემებს. „ორერამ“ აშკარად გვიჩვენა, წერს იგი, რომ ბევრი დასავლელი მსახიობისაგან განსხვავებით საბჭოთა ხალხური ხელოვნება ემყარება ტალანტს და არა ექსტრავაგანტურ გამოგონებებსა და მოჩვენებითობას.

„წარმოდგენის ვარსკვლავი იყო, — ხაზს უსვამს კრიტიკოსი — მომღერალი ნანი ბრეგვაძე“.

„მთელი პროგრამის სულსა და გულს“ უწოდებს კრიტიკოსი ნეპალურ ცეკვას უბბეკი მოცეკვავის დ. ჯაბაროვას შესრულებით და ნეპალურ საოხუნჯო სიმღერას რობერტ ბარძიმაშვილის, გენო ნადირაშვილისა და ნანი ბრეგვაძის შესრულებით.

ჩარლი ჩაპლინი: ვეგრძვი დროს

ამას წინათ ეკრანის განთქმულმა ოსტატმა ჩარლი ჩაპლინმა თავისი დაბადების 82 წლისთავი აღნიშნა. მისი შემოქმედებითი აქტივობა და შრომისუნარიანობა ნამდვილად უკვნობია. „მე ვიბრძვი დროს, — თქვა ჩაპლინმა ფრანგული ეურნალის „პარი-მატჩის“ კორესპონდენტთან საუბარში, — და იმედი მაქვს, რომ დავამარცხებ“.

ჩარლი ჩაპლინი ბევრს მუშაობს თავის ძველ ფილმებზე, რათა მაყურებელთა ახალ თაობებს უჩვენოს ისინი, ახლა დასავლეთ ევროპის ეკრანებზე უდიდესი წარმატებით უჩვენებენ ცნობილ სურათებს — „ახალი დროება“, „დიდი ქალაქის ჩირაღდნები“ და სხვ. მეორედ ისადგენა კიდევ ათობით სრულმეტრაჟიანი ფილმი. მაგრამ რეჟისორის ჩანაფიქრი ძველი ფილრების განახლებითა და გადაგუშავებით როდი ამოიწურება.

ამ დღეებში ჩაპლინი ეენეკვიდან პარიზს ჩავიდა. მან ეურნალისტებს განუცხადა, რომ განზრახული აქვს ორი ფილმის გადგმა, რომელთა სცენარი მან ესეს არის დაამთავრა. ერთი ფილმის სახელწოდებაა „მაბინჯი“. ამ სურათში, რომელსაც ჩაპლინმა „პოეტური კომედია“ უწოდა, მთავარ როლებში დებიუტით გამოვლენენ მისი ორი ქალიშვილი — ვიქტორია და ეუნენი, ხოლო მათი ძმა მაიკლი რეჟისორის ასისტენტი იქნება. გადაღებები ინგლისში დაიწყება იპარით აღებულ „შეპერტონის“ კინოსტუდიაში. „ვფიქრობ, ფილმი ამაღელვებელი და სასაცილო იქნება“ — თქვა ჩ. ჩაპლინმა.

მეორე კინოფილმი (სათვალავით ოთხმოცდამეერთე), რომელსაც ჯერ არა აქვს სახელწოდება, — ეს არის მოთხრობა ციხიდან გაქცეულ სიკვდილმისჯილზე. გაქცევის შემდეგ პატიმარი ახალ ცხოვრებას იწყებს. მთავარ როლს შეასრულებს რ. ჩაპლინის შვილი — სიდნეი.

ჩაპლინმა ამ დღეებში განაცხადა, რომ აღარასოდეს არ გამოვა ეკრანზე როგორც მსახიობი. მან უკანასკნელად ითამაშა ოფიციანტის ეპიზოდური როლი ცნობილ სურათში „გრაფის ასული მონკონგიდან“, სადაც მთავარ როლებს ასრულებდნენ სოფი ლორენი და მარლონ ბრანდო.

1953 წელს ლონდონის ხასტუმრო „სავოიაში“ ჩარლი ჩაპლინმა. ისე რომ არ დაუმალავს გულისტკივილი, ეურნალისტებს უთხრა თავისი გადაწყვეტილება აღარასოდეს არ დაბრუნდეს ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამ დღეებში მან კვლავ დაადასტურა ეს გადაწყვეტილება: „მე არა მაქვს სურვილი დაბრუნდე შეერთებულ შტატებში, იგი ძალიან შორს მდებარეობს“. — თქვა მან თავისი განთქმული ღიმილით.

ჟ. ფერაძე.

სურათებზე: ჩარლი ჩაპლინი პარიზის ორლის აეროპორტში ჩასვლისას.

ინდირა განდის პასუხი უ ტანისადმი

დელი

19 ნოემბერი. (საკადესი). ინდოეთს არ სურს ომის პროვოცირება პაკისტანთან, განაცხადა ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის უ ტანისათვის გაგზავნილ წერილში, რომელიც პასუხია მის წინადადებაზე, რომ შუამავლობა გასწიონ ინდოეთსა და პაკისტანს შორის.

მაგრამ, აღნიშნავს იგი შემდეგ, ინდოეთი იძულებულია განახორციელოს თავდაცვითი ღონისძიებანი, ვინაიდან პაკისტანის ჯარების კონცენტრაცია საზღვრებზე ადასტურებს, რომ პაკისტანი ემზადება წამოიწყოს ფართო შეიარაღებული კონფლიქტი ინდოეთთან.

ვითარების ახლანდელი გამწვავების ძირითადი მიზეზია აღმოსავლეთ ბენგალიის ხალხის ბედი, აღნიშნულია შემდეგ წერილში. „სწორედ ეს უნდა გვქონდეს მხედველობაში. გვერდი ავუაროთ ამ ძირითად პრობლემას ან წარმოვსახოთ იგი როგორც კონფლიქტი ინდოეთსა და პაკისტანს შორის — ეს იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ გავაძლიეროთ დაძაბულობა“.

„დაძაბულობა შეიძლება აღმოიფხვრას მხოლოდ ისლამაბადის სამხედრო რეჟიმისა და აღმოსავლეთ ბენგალიის არჩეულ ხელმძღვანელთა მოლაპარაკების გზით“, — ხაზგასმით აღნიშნა შემდეგ ინდირა განდიმ. ვითარების მოწესრიგების პირველი ნაბიჯი უნდა იყოს სახალხო ლიგის პარტიის ლიდერის მუჯიბურ რაჰმანის განთავისუფლება. თუ სამხედრო რეჟიმი კვლავ განაგრძობს თავის ახლანდელ პოლიტიკას, მაშინ მდგომარეობა, უეჭველია, გაუარესდება. ჯერჯერობით პაკისტანის მხარეს არავითარი გონივრულობა ან სურვილი არ გამოუჩენია, რომ განახორციელოს ღონისძიებანი, რაც საჭიროა პრობლემის პოლიტიკური გადაჭრისათვის“.

ტაილანდის ამბები

ნიუ-იორკი. 19 ნოემბერი. (საკადესი). ფელდმარშალმა ტანომ კიტიკაჩონმა, რომელმაც ტაილანდში სახელმწიფო გადატრიალების შედეგად ხელში ჩაიგდო უზენაესი ძალაუფლება, განაცხადა, რომ არ აპირებს მინისტრთა ახალი კაბინეტის დანიშვნას უახლოეს მომავალში. ამას იუწყება ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი ბანგკოკიდან.

ტ. კიტიკაჩონმა თქვა, რომ მთელი ადმინისტრაციული მუშაობა ქვეყანაში ჯერჯერობით იწარმოებს მინისტრების მოადგილეთა მეშვეობით, რომელიც მოქმედებენ მისი პირადი ხელმძღვანელობით. სამხედრო საკითხებს გადაწყვეტს სახმელეთო ძალების სარდალი, ხოლო სამოქალაქო — პოლიციის უფროსი.

ნიუ-იორკი. 19 ნოემბერი. (საკადესი). „როგორც ვარაუდობენ, ახლა ხუნტა კვლავ დაუჭერს მხარს ამერიკის შეერთებული შტატების ღონისძიებებს ინდოჩინეთის ომში, — ნათქვამია იუნაიტედ პრეს ინტერნეშონლის ბანგკოკელი კორესპონდენტის დეპეშაში, — ფართო საპაერო ომი ამერიკის ტაილანდის ბაზებიდან გრძელდება კიტიკაჩონის მთავრობის სრული თანაშრომლობით“. გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ ეხება რა ტაილანდში შექმნილ ვითარებას, აღნიშნავს, რომ „რეჟიმის შეცვლა, როგორც ჩანს, არ მოახდენს გავლენას ტაილანდში ამერიკის სამხედრო-საჰაერო ბაზების ბედზე, რომლებსაც ინდოჩინეთში ოპერაციებისათვის იყენებენ“.

ატომური აფეთქება ჩინეთში

ტოკიო. 19 ნოემბერი. (საკადესი). გუშინ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში სინძიანის პოლიგონზე განახორციელეს ატომური აფეთქება ატმოსფეროში.

იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა ოფიციალური განცხადება, რომელშიც სინანული გამოთქვა ამ აფეთქების გამო. იაპონიის მთავრობამ მოიწვია საეციალური სხდომა, რომლის შემდეგ ყველა თავდაცვითს, მეტეოროლოგიურ და სამეცნიერო სამსახურს უბრძანეს თვალყური ადევნონ რადიაქტიურ ნალექებს.

ვაშინგტონი — მინისტრი იმუქრება

19 ნოემბერი. (საკადესი). ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა მ. ლეირდმა განაცხადა, რომ შეერთებული შტატები განაგრძობს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, ლაოსისა და კამბოჯის დაბომბვას.

პენტაგონში გამართულ პრეს-კონფერენციაზე ლეირდმა თქვა, რომ „უყოყმანოდ“ ურჩევს „ამერიკას გამოიყენოს თავისი საავიაციო ძალა“ ჩრდილოეთ ვიეტნამის, ლაოსისა და კამბოჯის დასაბომბად.

ისევე როგორც წინათ, ლეირდი თავის მუქარას იმით ამართლებდა, რომ „სამხრეთ ვიეტნამში მყოფი ამერიკელი ჯარისკაცები უნდა დავიცვათო“.

ამავე დროს ლეირდმა განაცხადა, რომ შეერთებული შტატები წანანდებურად დაეხმარება ლაოსისა თუ კამბოჯის ტერიტორიაზე მოქმედ საიგონის არმიას. ამერიკის ავიაცია, თქვა მან, ყოველნაირად დაუჭერს მხარს სამხრეთ ვიეტნამის ჯარების „ყოველგვარ შეიარაღებულ შეტრას“ ლაოსსა თუ კამბოჯაში.

კარიზი — შუმანის განცხადება

19 ნოემბერი. (საკადესი). ხენატის საგარეო საქმეთა კომისიაში გამოსვლისას საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა შუმანმა ხაზი გაუსვა საფრანგეთში ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის დადებითს მნიშვნელობას. [illegible] ვიზიტის შედეგები, განაცხადა მან, ცხადყოფს, რომ შესაძლებელია [illegible]ნმობისა და თანამშრომლობის პოლიტიკის განხორციელება ახლა და [illegible]ერო შორეულ მომავალში სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის ქვეყნებს შორის.

შუმანი შეეხო ევროპის უშიშროებისადმი მიძღვნილ თათბირს [illegible] აღნიშნა, რომ მას შეუძლია [illegible]ნიხლოს უშიშროება, ეკონომიური თანამშრომლობისა და [illegible]ულტურული გაცვლის პრობლემები.

ამავე დროს შუმანმა თქვა, რომ [illegible]ფრანგეთს კვლავ თავშეკავებული პოზიცია უკავია ევროპაში [illegible]ოფი შეიარაღებული ძალების [illegible]ერმბრივი და თანაბარი შემცირების საკითხში, რამდენადაც მისი [illegible]ოლიტიკა არ ცნობს სამხედრო [illegible]ოკების სისტემას.

მინისტრი შეეხო ევროპის გაერთიანებას მდგომარეობას და აღიარა საერთაშორისო სავალუტო კრიზისით გამოწვეული სერიოზული უთანხმოებანი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის შესვლისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის დელეგაციის წარმომადგენლის სიტყვის გამო შუმანმა აღნიშნა, რომ არავითარი საფუძველი არა გვაქვს მივიჩნიოთ, თითქოს პეკინის მთავრობის პოზიციაში რაიმე ცვლილებანი მომხდარიყოსო.

პარტიის პოლიტიკური — ბონი — ამოცანები

19 ნოემბერი. (საკადესი). ბონში გაიხსნა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობა, რომელზეც პარტიის თავმჯდომარემ კანცლერმა ვ. ბრანდტმა მოხსენება გააკეთა უახლოესი ორი წლისათვის პარტიის პოლიტიკურ პროგრამის შესახებ.

მან აღნიშნა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ახლანდელი კოალიციური მთავრობის საგარეო [illegible]ოლიტიკას „მხარს უჭერს ხალხი“. [illegible]დასავლეთთან მეგობრობასთან ერ[illegible] მთავრობა დიდად ესწრაფვის [illegible]ითანხმებებს გერმანიის ფედერა[illegible]ული რესპუბლიკის აღმოსავლეთ [illegible]ევროპასთან, თქვა ვ. ბრანდტმა. [illegible] ქვეყანა აპირებს სპეციფიური [illegible]ობის შეტანას ევროპის დაძაბულობის შენელებაში. ეს ნიშნავს, რომ [illegible]ერმანეთი დასავლეთ ბერლინის [illegible] ძალაში უნდა შევიდეს და გერ[illegible]ანიის ფედერაციული რესპუბლიკის [illegible]ერეულებანი საბჭოთა კავშირსა [illegible] პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასთან რატიფიცირებული იქნება.

ვ. ბრანდტმა აღნიშნა, რომ მომავალი წლის დიდმნიშვნელოვანი თემა [illegible]ება ღონისძიებანი მოწესრიგებულ[illegible]ის ფედერაციული საზოგადოებრივი [illegible]ოლიტიკის „ორ ფეხზე“ [illegible]ოლიტიკა ევროპაში [illegible]ოლიტიკა ევროპაში [illegible]ოლიტიკა ევროპაში

სიტყვა ჩვენს ჩოგბურთზე

ქართულ ჩოგბურთს დღეისათვის ერთ-ერთი მოწინავე პოზიცია უჭირავს ჩვენს ქვეყანაში.

ეს ფაქტია, მაგრამ აწორედ ახლა მომწიფდა იმის აუცილებლობა, რომ გულახდილად ვილაპარაკოთ ჩოგბურთის — საქართველოს სპორტული აუდიტორიისათვის სპორტის ამ ესოდენ საყვარელი სახეობის შემდგომი განვითარების გზებზე.

პრესის, რადიოს და ტელევიზიის მოკლე ცნობებმა, რომლებიც ეხება ჩვენი ჩოგბურთელების ცალკეულ წარმატებებს ყოველი რანგის შეჯიბრებებში, დამამშვიდებელი ოპტიმისტური ატმოსფერო შექმნა ქართული ჩოგბურთის გარშემო. რა თქმა უნდა სწორი არ იქნებოდა ღიმისეულად არ შეგვეფასებინა ან დუმილით აგვეცილა გვერდი ამ წარმატებებისათვის. მაგრამ, როგორც ადამიანმა, რომლის ცხოვრებაშიც ჩოგბურთს ესოდენ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს და რომელმაც ვიცი არ მარტო დიდი, არამედ „მცირე“ხიბლელებიც სპორტის ამ სახეობის გზაზე, ადამიანმა, რომელიც ვიცნობ ამ ხიბლელებს „შიგნიდან“, მინდა გავუზიარო „კომუნისტის“ მკითხველებს ჩემი ეჭვები ამ შესანიშნავი თამაშის მომავლის გამო.

კეთილი ქართული ტრადიცია ახლანდელი წარმატებების დაკავშირებისა წინა თაობების დამსახურებასთან ყველაზე მეტად შეეფერება ჩვენს ჩოგბურთს, რომელიც ამ საუკუნის ტოლია.

ყოველ ათწლეულს ახალი სახელები და ახალი წარმატებანი მოჰქონდა. აქ შესაძლებლობა არა გვაქვს ფართოდ გადმოვცეთ ქართული ჩოგბურთის მკაფიო ისტორია, რომელიც ასე მდიდარია მიღწევებით საკავშირო ასპარეზზე, საბრძოლო ანგარიშით მტკიცე ბაზა რომ მოამზადა დღევანდელი წარმატებებისათვის.

ომისშემდგომ პერიოდში ჩოგბურთის პოპულარიზაციის და ახალი სახელების გამოჩენის თვალსაზრისით დიდი როლი შეასრულა იმან, რომ გაიხსნა ჩოგბურთის სტადიონი „დინამო“, რომელიც თავის დროზე „დიდი ჩოგბურთის“ ყველა მოთხოვნას შეესაბამებოდა. სწორედ მაშინ გამოჩნდნენ მოთამაშეები, რომლებსაც ხაშუალო თაობას მივაკუთვნებთ, ახალი სტილის მოთამაშეები, ისინი, ვისგანაც ვსწავლობდით ჩოგბურთის საიდუმლოებებს. ჩოგბურთის იმდროინდელი მდგომარეობისათვის დამახასიათებელი იყო, რომ მრავლად იყვნენ ძლიერი და თანაბარი კლასის მოთამაშეები, რომლებმაც შექმნეს ჯანსაღი სპორტული კონკურენცია, შეჯიბრების მუდმივი სულისკვეთება. მწვავე მეტოქეობა თვითეულ ჩოგბურთელს აიძულებდა გაანუწყვეტლივ ევარჯიშნა, ებრძოლა თავისი ადგილისათვის რეპუბლიკის ნაკრებ გუნდში. ამის შედეგად საქართველოს ნაკრებ გუნდს შეადგენდნენ მოთამაშეები, საკუთარ თავზე რომ ჰქონდათ გამოცდილი შეჯიბრებაში ბრძოლის ყველა სიძნელე ჯერ კიდევ საკავშირო ასპარეზზე გამოსვლამდე. ისინი იმ დროს ჭაბუკთა თანრიგით გამოდიოდნენ, წლების განმავლობაში სსრ კავშირის ჩემპიონები ხდებოდნენ. საქართველოს გუნდი მედლების გარეშე არ ბრუნდებოდა შინ. ხოლო 1956, 1960 და 1961 წლებში პირველი ადგილი ეკავა. ეს წრე რომ არა ყოფილიყო, არ ვიცი, შეძლებდა თუ არა ნუგზარ ძძინარაშვილი, ჩემი თაობიდან პირველი, აელაპარაკებინა ხალხი ჩოგბურთის ქართული სკოლის გაზრდილი როლის შესახებ.

ფრიად საწყენია, რომ ამ მოთამაშეებმა, რომლებიც გასცდნენ ჭაბუკობის ასაკს, შემდგომში, ვერ შეძლეს მთლიანად გამოევლინებინათ თავიანთი შესაძლებლობანი. ვფიქრობ, რომ სპორტსმენის გამოვლინების ამ გადამწყვეტ პერიოდში მას განსაკუთრებით ესაჭიროება გულისხმიერი, უურადღებიანი დამოკიდებულება მწვრთნელის მხრივ, რაც თვით ჩოგბურთელს არ ათავისუფლებს გაზრდილი საწვრთნელი დატვირთვისა და ტექნიკაში წინათ მისატვებელ ნაკლოვანებათა აცილებისაგან. ეს მოთამაშეები ნაადრევად წავიდნენ სპორტიდან, საამისოდ თვითეულს გამოუჩნდა თავისი საბაბი, მიზეზები კი საერთო იყო:

ისინი ძალიან ზდრე მიაკუთვნეს უპერსპექტივოთა თანრიგს, ხელოვნურად შეზღუდეს მათი მონაწილეობა შეჯიბრებებში, რითაც „დათვური სამსახური“ გაუწიეს მზარდ მოთამაშეებს.

აზრად არა მაქვს ამაში ბრალი დავდო მხოლოდ ხელმძღვანელებსა და მწვრთნელებს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ეს „უპერსპექტივო“ მოთამაშეები საჭირო არიან დღესაც. პრაქტიკულად გაჭრა მოთამაშეთა ის ფენა, საიდანაც გამოდიან ჩემპიონები და მასთან ერთად სპორტის ყოველ სახეობაში ესოდენ საჭირო კონკურენციაც.

ამან დაუყოვნებლივ დაატყო კვალი რეპუბლიკის ჭაბუკთა ნაკრების გამოსვლებს მომდევნო წლებში:

1967 წელს — მე-6 ადგილი
1968 წელს—მე-9-10 ადგილი
1970 წელს — მე-5 ადგილი

აღმაფრენა და დაქვეითება განუყოფელია სპორტის თვით არსისაგან. თაობათა ცვლა ეშვიათად ჩაივლის ხოლმე უმტკივნეულოდ, და მე ვფიქრობ, რომ ჩვენი მწვრთნელების ენთუზიაზმი და საქმის ერთგულება, საზოგადოებრივობის დახმარებით, შეუძლებელს გახდის ჩამორჩენის აღმოფხვრას ახლო მომავალში.

ჩოგბურთმა უკანასკნელ წლებში დიდი პოპულარობა მოიპოვა საქართველოში. ამას მოწმობს სსრ კავშირის უკანასკნელი ჩემპიონატი, რომელიც თბილისში მიმდინარეობდა ოქტომბერში. „დინამოს“ სტადიონის ძველმა ტრიბუნებმა ვერ დაიტია ამ შეჯიბრების ნახვის მსურველთა ნახევარიც კი. ამ პოპულარობაზე შეიძლება ვამსჯელოთ იმის მიხედვითაც, თუ რამდენად გადატვირთულია ხოლმე ჩოგბურთის კორტები, რომელთა მუშაობა დილის 7 საათიდან იწყება.

ჩოგბურთი ყველა ასაკის ადამიანთათვის სახურველი სახეობაა სპორტისა, რომელიც დიდ როლს ასრულებს ჩვენი ხალხის გაჯანსაღებაში. არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ წარმატებები მასობრიობიდან იქმნება. მიუხედავად იმისა, რომ სპორტის ამ სახეობისადმი ინტერესი განუწყვეტლივ იზრდება, ჩოგბურთის თამაშის მსურველთა რიცხვი წლითიწლობით სულ უფრო მეტი ხდება. არსებული ობიექტური მიზეზები აფერხებენ მასობრივი ჩოგბურთის განვითარებას. განა ბევრი მოეთხოვებათ ჩვენს მწვრთნელებსაც, როცა პრაქტიკულად არ არის შესაძლებლობა მოთამაშეთა ინვენტარით დაკმაყოფილებისა.



სურათზე: ალექსანდრე მეტრეველი.

საკმაო რაოდენობით არ გამოდის ჩოგნები, ბურთები, საჩოგნე ძუა, ფორმები, ვერც მათი ხარისხია დამაკმაყოფილებელი. მაგრამ ძირითადი საკითხი მაინც ბაზების საკმაო რაოდენობით შექმნაა. რომ ადარა ვთქვათ რა რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებზე, თბილისში სულ 15 საზაფხულო კორტია, და ყველანი ქალაქის ცენტრშია. ისეთ დიდ საცხოვრებელ მასივებს, როგორიც საბურთალოს, დიღმის, ვარკეთილის და სხვა მასივებია, ჩოგბურთის არცერთი კორტი არა აქვთ. განა საკმაოდ არ არის, რომ იძულებული ვხდებით წლოვან ქალიშვილებსა და ჭაბუკებს უარი ვუთხრათ მათს სურვილზე თავიანთი თავისუფალი დრო სპორტს მოახმარონ მხოლოდ იმიტომ, რომ არ გვყოფნის კორტები „მოზრდილებისათვის“?! დიდი ხანია უკვე დგას საკითხი ზამთრის დახურული კორტების მშენებლობისა, რომლებიც ესოდენ აუცილებელია რეგულარული მუშაობისათვის. მშენებლობა არ იწყება. თუმცა პროექტი უკვე მზად არის და გამოყოფილია სათანადო ადგილი.

საქართველოს ჩოგბურთელთა საზოგადოებრიობა მადლობელია კურორტების ბიბვინთისა და წყალტუბოს ხელმძღვანელობისა ახალი კორტების აშენებისათვის, რომლებსაც, სამწუხაროდ, იყენებენ მხოლოდ გაჯანსაღება-გართობის მიზნით და ჯერჯერობით იქ არ წარმოებს არავითარი სახწავლო მუშაობა ბავშვებთან. ამ საკითხებზე, ვფიქრობ, პირველ რიგში უნდა დაიწყოს მუშაობა საქართველოს სს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს სპორტს განყოფილებამ. საწყენია, რომ ჩვენი რესპუბლიკა, რომელსაც მთელი რიგი პირველხარისხოვანი მოთამაშეები ყავს, ბაზების მშენებლობის საქმეში ჩამორჩა სხვა რესპუბლიკებსა და ქალაქებს, სადაც ჩოგბურთი პირველ ნაბიჯებს დგამს.

ჩოგბურთის პირველხარისხოვანი ბაზები უკანასკნელი წლების მანძილზე შეიქმნა ყაზახეთში, უზბეკეთში, ქალაქებში ლვოვში, დონეცკში, მინსკში, კიევში, ლენინგრადში, კუიბიშევში და სხვ. მარტო ტაშკენტში ამჟამად ორმოცდაათამდე კორტი მუშაობს. წელს ერევანში მწყობრში ჩადგება ჩოგბურთის სტადიონი, სადაც 13 კორტი იქნება, ხოლო ზამთრის დახურულმა ორმა კორტმა უკვე მიიღო პირველი ჩოგბურთელები.

დიახ, ბევრი გადასაჭრელი პრობლემა დგას ჩვენი ჩოგბურთის წინაშე. და როგორ დროზე, შეიძლება ითქვას კრიზისულ მომენტში, ამხანაგი ვ. მუსაპანაძე მზრუნველობით გამოეხმაურა ამ თაძაშის შემდგომ განვითარებას აგერ ახლახან გამართულ ფიზკულტურული აქტივის კრებაზე. მაშინ, როცა ჩოგბურთი გამორიცხულია სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის პროგრამიდან, როცა სპორტულ საზოგადოებათა და უწყებათა ბევრი ხელმძღვანელი ჯეროვან ყურადღებას ალარ აქცევს ჩოგბურთს, სასიხარულოა, რომ ხაზი გაესვა სპორტის ამ სახეობის განვითარების აუცილებლობას. აღინიშნა, რომ კორტების მშენებლობა დიდ მატერიალურ ხარჯებს არ მოითხოვს და შეესაბამება საბჭოთა ხალხის მთავარ მიზანს — ადამიანის გაჯანსაღებას.

ჩოგბურთის თვითეული მოყვარულის ოცნება იყო ჩვენში, თბილისში ჩოგბურთის სპეციალიზებული სკოლის შექმნა, და როგორც რესპუბლიკის ფიზკულტურული აქტივის კრებაზე პირდაპირ ითქვა, აუცილებელია მოკლე დროში შეიქმნას ასეთი სკოლა. ყოველივე ეს მოწმობს პარტიისა და მთავრობის დიდ ზრუნვას ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისათვის საქართველოში. ეს გვავალებს ჩვენ, სპორტსმენებს, უფრო მეტად ვიშრომოთ ახალი შედეგების მისაღწევად, ქართული სპორტის სახახელოდ.

ალ. მეტრეველი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრ კავშირისა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი.

ჯანმრთელობის სამსახური

ყურადღება: გრიპი

თითქმის ყოველ წელიწადს დედამიწას გრიპის ტალღა გადაუვლის ხოლმე. მრავალი მილიონი ადამიანი სნეულდება გრიპით ეპიდემიების დროს, ხოლო პერიოდული ეპიდემიები (საყოველთაო ეპიდემიები) მოიცავენ ჩვენი პლანეტის ასეულ მილიონობით მოსახლეობას, ზოგჯერ მილიარდსაც კი გადააჭარბებენ ხოლმე. ასე იყო 1918 წელს, როცა „ესპანური“ გრიპის პანდემიამ გამოიწვია ნახევარი კაცობრიობის დაავადება, ასე იყო 1957 წელსაც, როცა „აზიური“ გრიპის პანდემიამ მოიცვა დაახლოებით 1,5 მილიარდი კაცი. გრიპი არა მარტო ყველაზე გავრცელებული ინფექციური დაავადებაა, არამედ თავისებურად ერთადერთი გლობალური ინფექციაც არის, რომელმაც ხაზგრება არ იცის. ამიტომ გრიპთან ბრძოლა მედიცინის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს.

ინტენსიური საერთაშორისო კავშირურთიერთობის თანამედროვე პირობებში არავითარ კარანტინულ ღონეს არ შეუძლიათ შეაჩეროს გრიპის გავრცელება, ვინაიდან გადადების საწყისის მატარებელი შეიძლება იყოს არა მარტო ავადმყოფები, არამედ გარეგნულად ჯანმრთელი ადამიანებიც. გასული წელი „ძმადი გრიპის წელიწადი“ იყო. ასლანდელი შემოდგომა-ზამთრის სეზონი შესაძლოა არ იყოს ესოდენ მშვიდი. გრიპის ტალღამ უკვე მოიცვა ევროპის ზოგიერთი ქვეყანა; არის საფუძველი ვეღოდეთ გრიპის გამოჩენას ჩვენშიც.

ორმოცი წლის წინათ გამორკვეულ იქნა, რომ გრიპის გამომწვევია ვირუსი — უმცირესი მიკროორგანიზმი, რომლის დანახვა მხოლოდ ელექტრონული მიკროსკოპით შეიძლება. ამას შემდეგ მსოფლიოს ათობით და ასობით ლაბორატორიაში წარმოებს ინტენსიური მეცნიერული კვლევა, რომლის მიზანია უხილავი მტრის ალაგმვა.

ჩვენს ქვეყანაში ამ პრობლემაზე შუშაობს ორი დიდი ინსტიტუტი — ვირუსოლოგიის ინსტიტუტი მოსკოვში და გრიპის ინსტიტუტი ლენინგრადში, ეგრეთვე ათეულობით სამეცნიერო ლაბორატორია. ბევრი რამ უკვე გაკეთებულია გრიპის ვირუსის და მისი გავრცელების გზების შესწავლაში, ეედიცინა უკვე უიარაღო არ არის გრიპთან ბრძოლაში, მაგრამ ამ რთულ და ძნელ პრობლემაში ჯერ კიდევ საკმაოდ დარჩა თეთრი ლაქები.

მეცნიერებისათვის ცნობილ გრიპის სამ ვირუსს შორის (მათ აღიარებენ A, B და G ვირუსებს) ყველაზე საშიშია A გრიპის ვირუსი. სასეელდობრ ის იწვევს ყველაზე ხშირად ფართო ეპიდემიებსა და პანდემიებს. ამის მიუხედავად ვირუსის ცვლილებანი, რომელიც მუდამ ხდება. ცნობილია, რომ გადატანილი ინფექციური დაავადების შემდეგ ჩვეულებრივ იწყება იმუნიტეტი — განსეორებით დაავადებისადმი. ეს იმუნიტეტი ფრიად სპეციფიკურია და მისი სპეციფიკურობა დამოკიდებულია იმაზე, რომ თვითეულ მიკროორგანიზმს აქვს თავისი საკუთარი, მისთვის დამახასიათებელი ცილები (ანტიგენები), რომელთა საწინააღმდეგოდ ორგანიზმი დამცველ ცილებს (ანტისხეულებს) გამოიმუშავებს ხოლმე. გრიპის ვირუსები (განსაკუთრებით A ვირუსი) სხვა ვირუსებისაგან იმით განსხვავდებიან, რომ ისინი პერიოდულად ცვლიან თავიანთი ცილების (ანტიგენების) შემადგენლობას, ამიტომ ორგანიზმის მიერ გამომუშავებული იმუნიტეტი არაეფექტური ხდება. ამით აიხსნება გრიპით განმეორებითი დაავადების შესაძლებლობა, ამაშივე მდგომარეობს მასთან ბრძოლის მთავარი სიძნელე.

თანამედროვე მედიცინა უმწეო ადარ არის გრიპთან ბრძოლაში. 1918 წლის პანდემიის დროს გრიპისაგან დაიღუპა 20 მილიონამდე ადამიანი. 1957 წლის პანდემია ნაკლებ ფარული როდი იყო, თუმცა ამ პანდემიის დროს გრიპით გამოწვეული სიკვდილიანობა მაღალი არ იყო, და იგი განსაკუთრებით დაბალი იყო საბჭოთა კავშირში. საყოველთაოდ ხელისუფლებამ, უფასო და კვალიფიციურმა სამედიცინო დახმარებამ, თანამედროვე სამკურნალო და პროფილაქტიკური საშუალებების გამოყენებამ — საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის ყველა ამ უპირატესობამ უზრუველყოფ და კვლავაც უზრუველყოფს საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობისა და სოციალური შენარჩუნებას.

გრიპის წინააღმდეგ ბრძოლის საშედეგიანო საშუალებათა არსენალში საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვას აქვს ვაქცინები, რომლებითაც ყოველწლიურად აუცრიან ხოლმე მრავალ მილიონ ადამიანს — მოშრდილებსა და ბავშვებს; გრიპის საწინააღმდეგო შრატი და ლაქტოგლობულინი, რომელსაც იყენებენ პროფილაქტიკური მიზნით, განსაკუთრებით იმ ადამიანთა დასაცავად დაავადებისაგან, რომელსაც ურთიერთობა აქონდათ გრიპით ავადმყოფებთან; ადამიანის (დონორთა) გამა-გლობულინი, რომელსაც იყენებენ იმ ავადმყოფთა მკურნალობისათვის, რომელთა დაავადება ძნიმედ მიმდინარეობს; ინტერფერონი, რომელიც პროფილაქტიკური და სამკურნალო მოქმედება აქვს; ანტიბიოტიკები, რომელსაც იყენებენ გრიპის გართულებათა თავიდან ასაცილებლად და სამკურნალოდ; ადგილობრივი დაცვა მოქმედების ოქსალინის მალამით; სხვადასხვა მედიკამენტოზური საშუალებანი, რომლებიც ამსუბუქებენ ავადმყოფობის მიმდინარეობას და აცცირებენ მტკივნეულ შეგრძნებებს. თუმცა თვითეულ ამ საშუალებას შეზღუდული ეფექტი აქვს, ერთად ისინი ძალიან საგრძნობ შედეგს, ამცირებენ დაავადებათა რიცხვს, აადვილებენ მათს მიმდინარეობას და მკვეთრად ამცირებენ სიკვდილიანობას. ტუნებრივია, რომ პროფილაქტიკის და მკურნალობის სამედიცინო საშუალებებს უნდა ნაშნავდეს ექიმი, და მხოლოდ ზოგიერთი მათგანი ვრცელდება მოსახლეობაში სააფთიაქო ქსელის მეშვეობით.

მაგრამ შეადომა იქნება ვფიქრობდეთ, რომ გრიპთან ბრძოლა ხსოლოდ სამედიცინო ღონისძიებებით ამოიწურება. დიდი მნიშვნელობა აქვს სანიტარულ ღონისძიებებს, რომელიც ტარდება საწარმოებსა და დაწესებულებებში, და პირადი პროფილაქტიკის ღონისძიებებს, რომელსაც მოსახლეობა იღებს.

გრიპის გადაცემა ხდება საჰაერო-ნაწვეთობის გზით. ამოსუნთქული ჰაერი სტერილურია, მაგრამ ხველების, ცხვირის ცემინების, ლაპარაკის დროს ხორხიდან ცვივა ლორწოს უწვრილესი წვეთები, რომლებიც ვირუსს შეიცავენ. სრულებითაც არ არის სულ ერთი, ვირუსის რა რაოდენობა ხვდება ამ დროს გარშემო მყოფთა სასუნთქავ გზებში. ვირუსის მცირე დოზების დროს შეიძლება განვითარდეს მსუბუქი დაავადება ან უსიმპტომო ინფექცია ავადმყოფობის აშკარა ნიშნების უქონლად, ვირუსის დიდი დოზების დროს შეიძლება განვითარდეს მძიმე დაავადება.

ამიტომ ზოგადჰიგიენური ღონისძიებანი ხელს უწყობენ დაავადებათა რიცხვის შემცირებას. სამრეწველო საწარმოებში საჭიროა ვიზრუნოთ კარგ ვენტილაციაზე, რეგულირებულ მიკროკლიმატზე, მტვრის, გამჭოლი ქარების, სინესტისა და გადამეტცივების წინააღმდეგ ბრძოლაზე, ვინაიდან ყველა ეს ივანე ფაქტორები ამცირებენ ორგანიზმის მიერ წინააღმდეგობის გაწევას და ხელს უწყობენ გრიპით დაავადებას. ძეუთუული ჰაერი, როცა ბევრი ხალხია თავმოყრილი, აგრეთვე ხელს უწყობს გრიპით დაავადების გავრცელებას. ეს ღონისძიებანი თითქოს ძარტივია, მაგრამ მათ ზშირად ავიწყებენ საწარმოთა და დაწესებულებათა ადმინისტრაციები, პროფკავშირული მუშაკებიც, ესენი კი გრიპით დაავადებათა შემცირების და, მაშასადამე, ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვის რეზერვია!

ადამიანთა თავმოყრის ადგილებში — ვაგზლებში, აეროპორტებში, თეატრებსა და კინოთეატრებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კარგ ვენტილაციას და სათავსების დასველებული ტილოთი გაწმენდას, რაც ხშირად უნდა წარმოებდეს. სუფთა ჰაერი ჯანმრთელობის საწინდარია. ეს ჩვეული ლოზუნგი ნამდვილად გამოსაყენებელია გრიპთან ბრძოლაში, ვინაიდან გაუწმენდავი ჰაერი გრიპით დაავადების შესაძლებლობას ნიშნავს.

არ უნდა დავიიწყოთ კიდევ ერთი მარტივი ღონისძიება. ვირუსის გადატანა ხდება ჭურჭლის საშუალებით. ამიტომ ჭურჭლის დამუშავება ან ქლორკირით გაუსნებოვნება გრიპის ვირუსის გავრცელების კიდევ ერთი დამატებითი დაბრკოლებაა.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს ორგანიზმის წრთობას, რაც აძლიერებს გრიპოზული ინფექციისადმი მის წინააღმდეგობას. ამიტომ თავს არ უნდა ვარიდებდეთ ფიზკულტურულ ვარჯიშსაც, დილის გიმნასტიკასაც შხაპით, სხეულის დაზელას სველი პირსახოცით, რომ აღარა ვთქვათ რა კვირის დამლევს ციგურებით გასეირნებისა ან სუფთა ჰაერზე ყოველდღიური გასეირნების შესახებ.

და, რა თქმა უნდა, ბევრი რამ დამოკიდებულია მოსახლეობის სანიტარულ კულტურაზე. თუ შენ, ძვირფასო ამხანაგო, გრიპით გახდი ავად (მისი ნიშნები კი ყველასათვის ცნობილია), გთხოვ თავი დაანებო ხიფათთან თამაშს და ამავე დროს გარშემო მყოფთ გადასდებდე სენს გამაყრუებელი ხველებითა და ცხვირის ცემინებით. ვაქცინაციის გამოჩენით ეშუქრები როგორც მახლობლების, ისე შორეული ადამიანების ჯანმრთელობას, რომლებსაც სენს გადასდებ! თუ შენ დარჩი, გამოუცხე ექიმს და განსარტოდი, რომ ავადმყოფობა არ გადასდო შენს ოჯახს. უმჯობესია აგრეთვე ცხვირსა და პირზე დაიფარო ბამბის და დოლბანდის უბრალო საფენი. თუ ბავშვები ჭყავს, გაიხსენე, რომ ამ უბრალო საშუალებას ატარებდნენ ძიძები და მედიცინის დები, რომლებიც მზრუნველობით იცავდნენ ახალშობილთა სასუნთქავ გზებს ბაქტერიებითა და ვირუსებით დაავადებისაგან ჰაერის საშუალებით.

საწარმოების, დაწესებულებების, სასწავლებლების ხელმძღვანელები უნდა გრძნობდნენ თავიანთ პასუხისმგებლობას გრიპთან ბრძოლაში, ზრუნავდნენ იმისათვის, რომ სამუშაო სათავსებში მუდამ სათანადო სანიტარული პირობები იყოს.

საბჭოთა მოქალაქის ჯანმრთელობა ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეა მისი დაცვა სახელმწიფოებრივი, საერთოსახალხო ამოცანაა.

ვ. ედანოვი.
სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

„პრავდა“ 19/XI.

სპორტი

კიდევ ერთი ოამარჯვება

ვენა, 19 ნოემბერი. (საკადრო). შეხარჩევი შეჯიბრების მეორე ეტაპის საპასუხო მატჩში სსრ კავშირის ფეხბურთელთა ოლიმპიურმა ნაკრებმა გუშინ კვლავ დაამარცხა ავსტრიის გუნდი — 1:0 (0:0). გოლი 75-ე წუთზე გაიტანა ნახევარმცველმა ანდრიასიანმა.

ამრიგად, სამი მატჩის შემდეგ ჩვენმა ოლიმპიელებმა ექვსი ქულა შეაგროვეს. მათ დარჩეული აქვთ საბოლოო საპასუხო შეხვედრა საფრანგეთის ოლიმპიურ ნაკრებთან, რომელიც გაიმართება 1972 წლის 25 მაისს. მანამდე კი საბჭოთა ნაკრების მეტოქენი — ავსტრიისა და საფრანგეთის გუნდები ერთმანეთს შეხვდებიან წელს 8 დეკემბერსა და 1972 წლის 12 აპრილს.

სსრ კავშირის ოლიმპიურმა ნაკრებმა ახეთი შემადგენლობით თამაშობ: ოლინიკი, მატვიენკო, სოსნიხინი (გუნდის კაპიტანი), რეშკო, მესროფიანი, ვერეშეევი (მაჩაიძე), ტროშინი, ანდრიასიანი, გრეშჩაკი, ზანაზანიანი (კოპეიკინი), კოზინკევიჩი.

სამხრეთ ამერიკაში გაემგზავრნენ...

ბუშინ სსრ კავშირის კლუბების ნაკრები ტურნესათვის სამხრეთ ამერიკაში გაეემგზავრა. საბჭოთა ფეხბურთელს საერთაშორისო შეხვედრები ექნებათ ბრაზილიაში, პერუში, ჩილესა და ვენესუელაში.

გუნდის უფროსმა მწვრთნელმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ა. პოხომარიოვმა შეარჩია 19 მოთამაშე უმაღლესი და პირველი ლიგის ათი კლუბიდან.

ეი ვინ შევიდნენ ნაკრებში: მეკარეები — პილგუი (მოსკოვის „დინამო“), პშენიჩნიკოვი (ცსკა) და ოლეინიკი (ორჯონიკიძის „სპარტაკი“); დამცველები — მატვიენკო, სოსნიხინი, რეშკო (სამივე კიევის „დინამოდან“), მესროფიანი (ერევნის „არარატი“), პოტოჩნიაკი (ლვოვის „კარპატი“) და აბრამოვი (მოსკოვის „სპარტაკი“); ნახევარდამცველები — მაჩაიძე (თბილისის „დინამო“), ვერეშეევი, ტროშინი (ორივე კიევის „დინამოდან“), ანდრიასიანი და ბონდარენკო (ორივე ერევნის „არარატიდან“); თავდამსხმელები — გრეშჩაკი (ლვოვის „კარპატი“), ზანაზანიანი (ერევნის „არარატი“), კოპეიკინი (ცსკა), კოზინკევიჩი (დონეცკის „შახტიორი“) და ვასილიევი (მინსკის „დინამო“).

გორელთა წარმატება

გორში დამთავრდა სტუდენტთა საკავშირო შეჯიბრება კიდობა სამბოში. მონაწილეობდნენ გორის, ბელორუსიის, რსფსრ-ის, შუა აზიის ქალაქების, მოსკოვის, თბილისის და ლენინგრადის უმაღლესი სასწავლებლების სამბისტები.

რესპუბლიკათა შორის საპრიზო ადგილები ასე განაწილდა — საქართველო, ბელორუსია, რსფსრ. სპორტულ კლუბებს შორის პირველი სამი ადგილი თანმიმდევრულად მოიპოვეს გორის პედაგოგიური ინსტიტუტის, მინსკის პოლიტექნიკური ინსტიტუტის და მოსკოვის ენერგეტიკის ინსტიტუტის გუნდებმა.

პირად ასპარეზობაში საქართველოდან ჩემპიონები გახდნენ: გორელები — შ. შაქარაშვილი, თ. თვაური, ვ. ბორჩაშვილი, ა. პავლიაშვილი, შ. ჩოჩიშვილი, გ. თანდილოვი და თბილისელი ზ. ქინქლაძე. (საკ. კორ.).

ᲓᲘᲡᲔᲠᲢᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს

(ი. ჭავჭავაძის პრ. № 1, № 107 აუდიტორია).

3 დეკემბერს დღის 2 საათზე **ლალი ნიკოლოზის ასული ბერძენიშვილი** ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: „ხალხური სიტყვიერების საკითხები „აკაკის კრებულში“.

(ი. ჭავჭავაძის პრ. № 3, ფიზიკის დიდი აუდიტორია).

4 დეკემბერს დღის 4 საათზე **რევაზ ილიასძე ჯიბუტი** ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: „ეფექტური ნუკლონ-ნუკლონური პოტენციალები და ელექტრომაგნიტური ურთიერთმოქმედებები ბირთვებთან“.

დისერტაციების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

20 ნოემბერი

პირველი პროგრამით

09.30 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 11.10 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ფიზიკაში, 12.15 — მხატვრული ფილმი — „თურქი ადას ანდერძი“, 13.45 — ამბიტიციონტთა დასახმარებლად — ლექცია ფიზიკაში, 14.30 — ლექცია ქართულ ენაში, 15.15 — კინონარკვევი, 15.40 — დოკუმენტური ფილმი „მოიხრობები კომუნისტებზე“ (ქართული ენაზე), 16.35 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.35 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის ციკლიდან „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში“ — ქუთაისის პროფტექნიკური სასწავლებელი, 17.55 — კინოპროგრამა, 18.00 — სტუდიაში საქართველოს პედიატრთა III ყრილობის მონაწილენი, 18.30 — „სასაღამო მეუღნეობის მართვის სრულყოფის საკითხები ეკონომიურ-მათემატიკური მეთოდებისა და გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — მოსწავლეთათვის — „გაბიდული ფოტომონადირე“. 19.15—„მომბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 19.35 — „იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!“ — ფალენჯიხის რაიონი, 20.40 — მხატვრული ფილმი — „ერთი წლის ცხრა დღე“, — 22.30 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.00 — კონცერტი მაყურებელთა თხოვნით.

მეორე პროგრამით

18.20 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია პოლიტიკურ ეკონომიაში „სოციალისტური წარმოების პროცესი“, 19.05 — კინოპროგრამა, 19.35 — მხატვრული ფილმი — „რა შეემთხვა პოლინინს“.

21 ნოემბერი

პირველი პროგრამით

09.25 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 10.30 — ბავშვებისათვის — „მაღვიძარა“ (გადმოცემა ჰერმიდან), 11.00 — „მუსიკალური კიოსკი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — ამბიტიციონტთა დასახმარებლად — ლექცია საბჭოთა კავშირის ისტორიაში, 12.15 — უფროსკლასელთათვის მხატვრული ფილმი — „ორშაბათიც გათენდება“, 13.55 — კინონარკვევი, 14.10 — ამბიტიციონტთათვის — ლექცია მათემატიკაში, 14.55 — „კინოთაფა“, 15.25 — ნახატი ფილმი ბავშვებისათვის, 15.45 — ბავშვებისათვის გადაცემა — „მუსიკალური საკრავები“, 16.15 — კინოპროგრამა, 17.20 — მუსიკალური კალენდრის ფურცლებზე, 17.50 — საქართველოს ფირადი ტელევიზია: 1. „ყვითელი შემოდგომა, ოქროსფერი შემოდგომა“ 2. კინოპროგრამა, 19.10 — „ძიება“, (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.10 — „მომბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.20 — „დედოსტატის მარჯვენა“, 21.55 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.25 — კინონარკვევი, 22.35— საკვირაო-გასართობი პროგრამა.

მეორე პროგრამით

18.20 — კინოპროგრამა — „მეუხარე“ და „პატიოსანი სიტყვა“, 19.20 — ქართული მხატვრული ფილმი — „მიიკოოსკი იწყებოდა ასე“, 22.55 — საქართველოს ფირადი ტელევიზია. კინოპროგრამა.

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘ

20 ნოემბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — სვეტიცხოველი დალაქი (34-ე აბონ. მე-9 წარმოდგენა); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ხანუმა; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ნუ გეშინია, დედა; ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ჩემი მშვენიერი ლედი.

სახელმწიფო ე-პრობლემური შინაგანი ემიგრაციანი სესხი 1966 წლის

ოლიმპიური ბილეთები

მოგებათა 43-ე ტირაჟისა, რომელიც გაიმართა 1971 წლის 15 ნოემბერს ქალაქ დუშანბეში.

მოგება ხვდა სესხის ოცდათექვსმეტივე თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით
100207	43*)	500	153478	1—50	100